ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 292

"13" სექტემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა" (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N9-365-31-21329 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა"-ს (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N9-365-31-21329 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის №19.968.1223 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა"-ს (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N9-365-31-21329 ხელშეკრულების აუქციონის პირობების „ბ.ა" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია №01.10.06.010.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოაწყოს სპორტული მოედანი და სკვერი შესაბამისი ნებართვის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს აუქციონში გამარჯვების დღიდან 31 (ოცდათერთმეტი) თვის ვადაში, არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების გზით, ხოლო აღნიშნული ინვესტიციის განხორციელების და დადასტურების შემდეგ, შესაბამისი ინვესტიციის შედეგად შექმნილი ქონება უსასყიდლოდ საკუთებაში გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**